წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 29 ქრისტეშობისთვე.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილ. 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე **„საქართველო“** 1917 წ. წელიწადი მესამე

## ყოველკვირაულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და ხალხოსნო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცოდნის გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას აღუთქვამენ:

ივ. აბესაძე, ი. აბულაძე, არქ. ამბროსი (ხელაია), დ. არახიშვილი, ა. ახვლედიანი, ალ. ამილახვარი, ვ. ბარნოვი, ივ. ბუქურაული, ქ. ბახტაძე, ალ. გაბაშვილი, ბ. გაბაშვილი, გამსახურდია, ვ. გუგუშვილი, გ. ბოჭორიშვილი, ზ. გუნია, [illegible], ზ. დგალი, ი. დიასამიძე, ვ. ვეშაპელი, გრ. ვეშაპელი, ვ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, ა. ინგოროყვა, ნ. კაპანაძე, პოლ. კარბელაშვილი, დ. ბ. კარიჭაშვილი, დ. კარბაძე, ტ. კახიანი, ს. კიდია, დავ. ქ. ქიქოძე, ნ. კუნძულაშვილი, Legatus, ეპისკოპოსი ლეონიდე, ივ. ლორთქიფანიძე, ე. ლორთქიფანიძე, დ. მარგველაშვილი, ქ. მაჭავარიანი, ი. მაჩაბელი, დუდუ მეგრელი, მენთეშა, ვ. მდივანი, ნიკო ნიკოლაძე, დ. ნიკოლაძე, გრ. რობაქიძე, ს. სეჯრაჭიძე, იოსებ საჯაია, გ. ტაბიძე, ი. ფერაძე, შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, ვ. ქორქაძე, ნ. ყიფშიძე, ნ. ცომაია, ვ. ყიფიანი, მიხ. შალამბერიძე, გ. ცხვედიაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი, აკ. წულაძე, დ. ჭავჭავაძე, ვ. ჭიჭინაძე, ს. ჯაშიშვილი, ი. ჯავახიშვილი, დ. ჯანელიძე, ხამშაბელი მიშ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაგზავნა ერთის თვით ფულის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება გაგზავნილი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., მარტის პირველისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთი გაეგზავნოს წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. სალ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

---

27 ქრისტეშობისთვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

# პავლე იოსების ძე
# კურცხალია,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავნი და ნაცნობნი დამწუხრებულნი ნიკოლოზ პავლეს ძე და ანნა ავქსენტის ასული კურცხალია შვილებითურთ.

ძვირფას ცხედარს გასვენებენ რკინის გზის სადგურზე ხუთშაბათს, 29 ქრისტეშობისთვეს, სადამოს ხუთ საათზე, საკუთარის ბინიდან (ნიკოლოზის ქუჩა, № 110). დაკრძალვა მოხდება სოფ. ბანზა, შაბათს, 31 ქრისტეშობისთვეს, წირვის შემდეგ, სავვარეულო ეკლესიაში.

(3—453—1)

---

მწარედ დამწუხრებულნი: ელისაბედ ზაალის ასული, ლევან იოსების ძე, მიხეილ ლევანის ძე, ევგენ ლევანის ძე და რევაზ ლევანის ძე ნასვლიმაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ 30 ქრისტეშობისთვეს, კვირას წმ. ნინოს სასაფლაოზე, დილის 10 საათზე, გარდაცვალების წლის თავზე დანიშნულია პანაშვიდი პირველთა საყვარელის შვილის, მეორეთა ძვირფასი ძმისა და უკანასკნელთა ბიძისა უდროვოდ ცოლის ძმის, ბრძოლის ველზე მოკლულ

## პოდპორ. იოსებ ლევანის ძე
## ნასვლიშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—454—1)

---

ამა წლის ქრისტეშობისთვის 13 ბრძოლის ველზე გარდაიცვალა ქართველ მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკი

## უშანგი (სოლომონ) კაიხოსროს ძე
# ჯაფარიძე

რასაც დიდის წუხილით აუწყებენ მიცვალებულის ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს ქართველ მსროლელთა პოლკის კომანდირი და ოფიცრები.

ცხედრის მოსვენებენ სვირის სადგურზე ქრისტეშობისთვის 23, სოფლ დასაფლავებულ იქმნება მშვიდ თვის 29, სოფ. ობჩის ღვთისმშობლის ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ-დღე მიცვალებულის სახლში.

(2—446—2)

---

შაბათს, 31 ქრისტეშობისთვეს, პირველ საათზე, ს. ქიდალაში დანიშნულია ხანგძლივი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ პრაპორშჩიკის

## მერაბ სოლომონის ძის
# ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ღრმა ქვრივი ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა შვილებით.

(1—451—1)

---

26 ქრისტეშობისთვეს, ქ. თბილისში, № 40 ლაზარეთში, უდროოდ გარდაიცვალა ნავთლუღის გიმნაზიის პირველ კურსის მსმენელი

სტუდენტი ვალიკო ზაქარიას ძე

# ზარზარიანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ნავთლუღის გიმნაზიელები პუნქტის მსახური.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 29 ქრისტეშობისთვეს, ქ. თბილისში.

(1—452—1)

---

30 ქრისტეშობისთვეს გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

# საფირონი

№ 1.

ზაბრავი:

| | |
|---|---|
| განდეგილი | შეწყვეტილი ხლაპარი. |
| თოიძე ი. | გუთ. საქართველოს ძველ ქალაქში. |
| თოიძე გ. | სურათი და არშიები. |
| ინ-ბანი | სოციერები. |
| ინგოროყ ო. | იმედის ღილა. |
| კალაბაშვილი ა. | უსაბოსელი ლექსი. |
| კრინბოიძე გ. | ქარგა. |
| ლორთქიფანიძე ნ. | სიზმრები. |
| მაჭავარიანი ქ. | გეგლი. |
| მღვიმელი შიო | |
| ნარკანი | ხილვების გადმოშა. |
| პაპავა აკაკი | ფიქრები მთავროულ ლიტერატურაზე. |
| ფანცხავა ბოდა ხ. | პლეკი ახელი. |
| ხანგიაშვილი სანდრო | სულის ძახილი. |
| ცანცული ალექსანდრე | ბიძინელების ოჯახში. |

ფასი 30 კაპ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ლეონიძე.

---

ქ. თბილისში დაარსდა

# მელნის ქარხანა
# „ალაროდია“

ამზადებს სუკეთესო საკანცელარიო მელანს, ალიზარინის ფერისას.

პირველხარისხ ქარხანა გამოყიდის მელნის ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

საზღვრებში და სამხედრო დაწესებულებანი ფასდაკლებით სარგებლობენ.

მელანი პირის გადასაღებელი (კოპიროვკა) ქარხანა.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება.

ადგილობრივად თუ გაგზავნით.

სასურველია აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“. (თ.—228—თ.)

---

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

ხუთშაბათს, 29 ქრისტეშობისთვეს,

# საოჯახო საღამო

წევრთა და მათ სახლობათათვის წარმოდგენილი იქნება:

1. **„ხირურგია“** 1 მოქ. ჩეხოვისა

2. **კონცერტი კაგარე** ნეაპოლიტანური სიმღერ. ქარ. ენაზე

3. **ოპერეტი პროფესორის დუქნისა**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ✦ სტუმრები საზოგადო წესით.

კონცერტზე შესვლა უფასოა.

(1—348—1)

---

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს** ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

---

ვასწავლი

ქართულ

## სიმღერა-გალობას

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ სახალხო გუნდისათვის.

მიღება და ჩაწერა

კასრაძესთან.

ჩუღურეთის ნიკოლოზის ტაძრის სკოლის შენობა, სამშაბათობით და პარასკეობით, სალ. 6—9 ს.

260.

---

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმი

## კ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

---

## შემთხვევით

იყიდება

## ვერცხლის სამოვარი

ყოველივე მოწყობილებით-

დ. ს. არჯევანიძეს მაღაზიაში სომხის ბაზარი № 24.

(1—449—1)

---

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

---

ექიმმა

## ზ. მ. მუხაძემ

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

## [...] მდგომარეობა

[...] ომი ჯერ კიდევ არ [...] მაგრამ ძველი საერ[თაშორისო ურ]თიერთობა უკვე საგრ[ძნობლად შე]იცვალა. ძალთა თანასწორობის [პ]რინციპი შეირყა. საერთაშორისო ასპარეზზე ახალი სახელმწიფოები გამოვიდნენ, რომელნიც წინათ უმნიშვნელო როლს ასრულებდნენ მსოფლიო პოლიტიკაში.

ცნობილია, რომ ომის დაწყებამდე მსოფლიო პოლიტიკას დიდი სახელმწიფოების კონცერტი განაგებდა. ამ კონცერტში ექვსი ევროპიული სახელმწიფო შედიოდა: ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი ერთი მხრით, გერმანეთი, ავსტრია-უნგრეთი და იტალია მეორეს მხრით. მათ განაჩენს უმაღლესი სამსჯავროს ძალა ჰქონდა და არსებითად შეუძლებელი იყო მისი განსაჩივრება. დანარჩენ ერებს აგრე რიგათ არაფერი ეკითხებოდა არც ევროპაში, არც ევროპის გარეშე. მხოლოდ იაპონიის ხმას ჰქონდა ცოტაოდენი გავლენა და ისიც მის შემდეგ, რაც ეს აზიური ძალა ინგლისს შეუკავშირდა და რუსეთს შეეჯახა. დიდი ჩრდილო-ამერიკული რესპუბლიკა, შეერთებული შტატები, მსოფლიო პოლიტიკაში არ ერეოდა და არსებითად მონროეს პრინციპით კმაყოფილდებოდა: ამერიკა ამერიკელებსო.

შეერთებული შტატების ქონებრივი ძალა და ზნეობრივი გავლენა არაჩვეულებრივად გაიზარდა ბოლო დროს. ამ სახელმწიფოს ტერიტორია თითქმის მთელი ევროპის ტერიტორიას უდრის, მცხოვრებთა რიცხვით მას ვერც ერთი ევროპიული სახელმწიფო ვერ სჯარბობს გარდა რუსეთისა. ეროვნული სიმდიდრის მხრივ შეერთებულ შტატებს უკვე პირველი ადგილი ეჭირა ომის დაწყებამდე. უკანასკნელი ორიოდე წლის განმავლობაში ევროპიდან ჩრდილო-ამერიკისაკენ მიიქცა ოქრო-ვერცხლის გოლფსტრომი, რომელმაც ლამის მოავარაყოს იანკები და მათი უზარმაზარი სამშობლოს ნიადაგი.

ასეთ მდგომარეობაში გასაკვირალი არ არის, რომ ჩრდილო ამერიკას გულზვიადობა ემატება. ფრანგი მწერალი კაშმონისა არ იყოს, ნიუ-იორკის კოშკიდან მთელი ევროპა ბალკანეთის ნახევარ კუნძულს წააგავს, სადაც პატარა ერები ფუსფუსობენ და ერთმანეთის დღრჩობას ლამობენ. და შეერთებული შტატების მთავრობა ჰფიქრობს, რომ მოვიდა წამი, როცა მას შეუძლია დიდ ევროპიულ სახელმწიფოების საქმეებში ჩაერიოს, როგორც ეს უკანასკნელნი ბალკანეთის ერების საქმეებში ერეოდა.

პირველი ნაბიჯი მშვიდობიანი და პირველი სიტყვები დამაშოშმინებელია. მაგრამ მახვილი ყური უკვე გაარჩევს მუქარის ტონებს. დიდათ საყურადღებოა თავისთავად ის გარემოება, რომ პრეზიდენტმა ვილსონმა თავისი საზავო ნოტა უშუალოდ გერმანეთის საზავო ნოტას მიაყოლა. ამით მან საგრძნობლად გააძლიერა ამ უკანასკნელის ზნეობრივი გავლენა. გერმანეთი და მისი მოკავშირეები ფიქრობენ, რომ დროა სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყოს. ოთხთა შეთანხმება წინააღმდეგ აზრს ადგია. თუ ამ არსებით საკითხში შეერთებული შტატები ცენტრალურ კავშირის შეხედულებას იზიარებს, ეს გარემოება ამ კავშირის დიდ დიპლომატიურ გამარჯვებას უდრის. ეს თითქმის მთელმა ქვეყანამ ასე გაიგო და ვილსონის გამოსვლამ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებში ფარული და აშკარა გაღიზიანება, ხოლო გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში გულწრფელი სიხარული გამოიწვია.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შეერთებულ შტატებს დღეს ძალაც შესწევს თავის გულისთქმის განსახორციელებლად ევროპაში. ცნობილია, რომ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს დიდძალი სამხედრო მასალა და საკვები სურსათი გამოაქვთ ამერიკიდან. ამას გარდა იქ დიდძალი ფულიც ისესხეს. ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა და იტალიამ დაახლოვებით ოთხი მილიარდი მანეთის ვალი აიღეს ჩრდილო ამერიკაში. გერმანეთი პირიქით ნაკლებ დამოკიდებულია ამ მხრივ: სამხედრო მასალას საკუთარ ქარხნებში ამზადებს, სამხედრო სესხს შინაურ ბაზარში აწარმოებს. გერმანეთს მხოლოდ ორმოცი მილიონი მანეთი მართებს შეერთებულ შტატებისა.

ცხადია, რომ თუ შეერთებულმა შტატებმა მებრძოლ სახელმწიფოებს სესხის ძლევა მოუსპო, უფრო საგრძნობლად ოთხთა შეთანხმების ინტერესებს დააზიანებს ვიდრე გერმანეთისას. ასეთი რადიკალური ზომა კი ამერიკის მხრით ადვილი მოსალოდნელია. ეს თუნდ იქიდან სჩანს, რომ ვილსონის ნოტის გამოქვეყნებისათანავე ამერიკული ბანკების ფედერატიულმა კომიტეტმა ხელქვეით დაწესებულებებს დაავალა მებრძოლ სახელმწიფოებს ახალი სესხი აღარ მისცენ.

ასეთ ზომებს შეუძლიან ევროპიული ერების გულფიცხელობის განელება, მაგრამ რასაკვირველია სავსებით ვერ ჩააქრობს ბრძოლის ცეცხლს. როგორც უკანასკნელი დიპლომატიური ნოტებიდან სჩანს, ორი დიდი მეომარი კოალიციის თვალსაზრისი რადიკალურად განსხვავდება ერთიერთს შორის და ჯერჯერობით ძნელია მათი მორიგება. გერმანეთი ზავს ითხოვს არსებული სამხედრო რუკის ნიადაგზე. ეს იმას ნიშნავს, რომ დაპყრობილი ადგილებიდან აღარაფერს სთმობს აუნაზღაურებლად. ოთხთა შეთანხმება კი გადაჭრით ეწინააღმდეგება ამ ნიადაგზე საზავო მოლაპარაკების დაწყებას. ის ამტკიცებს, რომ თუმცა არსებული სამხედრო ურთიერთობა მისთვის საზარალოა, სამაგიეროდ მის მხარეზე მეტი პოტენციური ანუ გაუშლელი ენერგიაა: გერმანეთის და მისი მოკავშირის ცოცხალი ძალა ამოიწურა, ქონებრივი შეძლება განიავდა, ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს კი ჯერ ხელი არ უხლიათ უკანასკნელი რეზერვებისა და ფონდებისათვის. ამ მომავალი ძლევამოსილების მოლოდინში ოთხთა შეთანხმება უმნიშვნელოდ სთვლის დღევანდელ დამარცხებას.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს თვალსაზრისი ცოტა არ იყოს ცალმხრივია. მოპირდაპირეები ოცდაათი თვის განმავლობაში ერთნაირად დაუნდობლად იბრძვიან და მათი შინაგანი ძალები ერთნაირად განიავდა და ამოიწურა. პოტენტიური ენერგიის იმედი კი გერმანეთსაც შეუძლია იქონიოს. სხვა არა იყოს რა მისთვის თითქმის უზრუნველყოფილია ორი ახალი მოკავშირე: საბერძნეთი და პოლონეთი.

გ. დელიანი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის ასპარეზზე, სახელდობრ, დიდვლახეთის ბრძოლის ველზე, უკანასკნელ დეპეშების გადმოცემით ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მომხდარა. რუს-რუმინელთა ჯარს დაუტოვებია, როგორც ქ. ბრაილოვი მდ. დუნაიზე, ისე ქ. ფოქშერი. მას შემდეგ, რაც მოპირდაპირე მდ. ბუზეოს შესართავს მიადგა, ბრაილოვის ბედი გადაწყვეტილი იყო. ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა ამ ქალაქის დაცვა, რადგან მტერი ზურგით გზების გადაჭრას ემუქროდა. ქ. ბრაილოვის მნიშვნელობა მეტად თვალსაჩინოა მდინარე დუნაიზე დამყარებულ სტრატეგიულ პლაცდარმისათვის, რომელშიაც ქ. გალაცი, რენი და იზმაილოვი შედიან. ამ ქალაქის აღებით მოპირდაპირემ ხელთ იგდო ხსენებული პლაცდარმის გასაღები. ეხლა მდინარე სერეტის გადასალახავად გერმანელებს უახლოესი ბაზა აქვთ. აქ დაყრდნობილი მარჯვენა ფრთით, მტერი არა მარტო ზურგს გაუმაგრებს ბუზეოს შესართავთან მომქმედ თავის ჯარს და საშუალებას მოუსპობს რუსებს და რუმინელებს გალაცით გამოილაშქრონ, არამედ დიდათაც დაეხმარება დელმანზინგამენს მდინარის გადალახვაში. საშუალება ეძლევა აგრეთვე დობრუჯაში მომქმედ გენ. ტოშევის არმიას მარჯვენა ნაპირით მიადგეს ქ. გალაცს და მძიმე არტილერიის დახმარებით ეს მეტად მნიშვნელოვანი სიმაგრე ბრძოლის ხაზს მოსწყვიტოს.

ქ. ფოქშანის დატოვება შედეგი უნდა ყოფილიყო იმ მანევრებისა, რომელთაც მოპირდაპირე აწარმოებდა, როგორც ჩრდილოეთით მდ. პუტნაზე, ისე სამხრეთით მდ. რიმნიკზე. ფოქშერის დატოვებამ უსათუოდ მდ. ტროტუშის საკითხიც უნდა გადასწყვიტოს. ჯარების განაწილებას უფრო ჩრდილოეთით მოპირდაპირე ადვილად შესძლებს ფოქშერის რკინის გზით და რუს რუმინელთა ჯარს ზურგით მოუვლის.

საზოგადოთ, ოფიციალ დეპეშების მიხედვით დღეს ბრძოლის ხაზი დიდ ვლახეთში უკვე მდ. სერეტს და პუტნას მიადგა. ახლა საცაა ამ მდინარის გადასალახავად ოპერაციებიც დაიწყება. არც ისე ძნელი გამოსაცნობია, თუ მოპირდაპირე სად შეუდგება გადალახვასა, თუ მხედველობაში მივიღებთ მოპირდაპირის მიერ წარმოებულ მანევრებს დიდ ვლახეთში. მკითხველებს ეხსომებად, რომ მტერი უმთავრესად მეტს აქტიობას და გაბედულ იერიშებს მდ. რიმნიკსა და ბუზეოს შუა იჩენს. ეს ხაზი ადრევე უფრო წინ წამოწეული იყო და ყოველთვის ზედგავლენას ახდენდა, რუს-რუმინელთა ჯარის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ფრთებზე. ამასთანავე ამ ორ მდინარეს შორის მდებარე მიდამო ერთგვარი სტრატეგიულ ტალანს წარმოადგენს. ამ ტალანით კიდევაც ისარგებლა მტერმა და აიძულა რუს-რუმინელნი მთელი ხაზი დაეტოვებინათ. უეჭველია, გერმანელნი აქვე განიზრახავენ მდინარის გადალახვას, რადგან ჯერ ერთი, საფრთხეში ჩააგდებენ მთელ დუნაიზე დამყარებულ პლაცდარმს, და მეორეც, გალაციდან იასში მიმავალ რკინის გზას უფრო ადვილად გადასჭრიან.

რიგა-დვინის ველზე გერმანელთა იერიშები მარცხით დამთავრდა. რუსებმა ინიციატივა დროზე გამოსტაცეს ხელიდან და ბაბიტის ტბასთან არათუ მოიგერიეს მათი იერიშები, ახალი სანგრებიც წაართვეს და ტყვეებიც წამოიყვანეს. ამასთანავე მოულოდნელის იერიშებით რუსებმა დაიბრუნეს, ამ რამდენიმე დღის წინეთ გერმანელების მიერ დაპყრობილი კუნძული მდ. დვინაზე.

X.

## ომის დეპეშები

### 25 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის დასავლეთით 40 ვერსზე, ტირულის ტბის აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა ვაჟკაცური შეტევით აიღო სოლო. სოფელი ბაბიტის ტბის სამხრეთ-დასავლეთით და ზედიზედ მიტანილ იერიშებით ხელთ იგდო სოფ. კალინცის აღმოსავლეთით 6 ვერსზე მდებარე თხრილები, რიგის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე, ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები. შემდეგ ამ სოფლის სამხრეთ მიდამოებს მივაღწიეთ. აქ ხელთ ვიგდეთ 3 აფიცერი, 272 ჯარისკაცი, მსუბუქი ზარბაზანი და 6 ყუმბარების ყუთი.

კოვლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსზე, მისტეჩის მიდამოებში პრაპორ. დემიანოვის მზვერავმა რაზმმა ერთბაში თავდასხმით გაჰფანტა მოპირდაპირის მზვერავთ რაზმი, 8 დაატყვევა, ზოგი დახოცა. კოვლის მთის სამხრეთით მდებარე სადარაჯოზე მტრის დარაჯები დავხოცეთ, ნაწილი დავატყვევეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** კოტუმბის ჩრდილოეთით იერიშით წამოსული გერმანელები მოვიმწყვდიეთ, ნაწილი დავხოცეთ, ზოგი დავატყვევეთ. კოტუმბის სამხრეთით მოპირდაპირე განმეორებით იერიშებით ერთი მაღლობი მიგვატოვებინა და 2 ვერსით აღმოსავლეთისაკენ დაგვახევინა. მდ. რუსის ჩრდილოეთით მოპირდაპირე თავის სანგრებშივე მიაბრუნეთ.

მდ. სლონიკუს და ოიტუზის ველებს შუა მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ და ოიტუზის სამხრეთით მდებარე მაღლობი დავიჭირეთ. მოპირდაპირემ ძლიერის ჯარით შემოუტია რუმინელებს მდ. სუშიცის სათავის მხარეს და მდ. კოსას ნაპირებისაკენ გადარეკა. მოპირდაპირემ რუმინელებს უკან დაახევინა მდ. პუტნისა და ზავალის შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთით კეპრესის მიდამოებში და ოდომესჩის ჩრდილო დასავლეთით. მოპირდაპირემ ზარბაზნების ცეცხლი რამნიჩენისაკენ მიმართა მდ. რიმნიკის ქვემო მდინარეობაზე, და იერიშით წამოვიდა რამნიჩენ-გულიანკა-კიოვანუ მაქსინენის ხაზზე და ჩვენი მოწინავე რაზმები, ცხარე ბრძოლის შემდეგ, 4 ვერსით აღმოსავლეთისაკენ დაახევინა. დაბინდების შემდეგ მტერმა შემოგვიტია გულიანკა-ოლონესკის შარა გზით, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

22 ქრისტეშობისთვეს ბრაილოვი დავტოვეთ და მდ. სერეტის გაღმა გადავედით.

**კავკასიის ასპარეზი.** თოვლის ნამქერებია. ურმიის ტბაზე ქარიშხალია, რის გამოც 3 დღეს მიმოსვლა შესწყდა. 21 ქრისტეშობისთვეს ქ. მიჯარი ავიღეთ. უკან დახეული ოსმალები მიჯარის სამხრეთისაკენ კლდიან ფერდობებში ჩასაფრდნენ რენნერასკენ მიმავალ გზის ორსავ მხარეს.

### 26 ქრისტეშობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სოფ. კალნცის სამხრეთით, ტირულის ტბის და მდ. აას შუა მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბაბიტის ტბის სამხრეთით, რიგის დასავლეთით 30 ვერსზე, სულ 500 გერმანელი მეომარი დაგვიტყვევებია. მდ. რეჩკის მიდამოებში, ვილეიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის საფრენი დაეშვა. ზედ მყოფი აფიცერი და ჯარისკაცი დავატყვევეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. ოიტუზის ველში მოულოდნელი შეტევით ავიღეთ მტრის თხრილი და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. მდ. კასინის ჩრდილოეთით მტრის შემოტევა შევაჩერეთ. მდ. სუზიცას სათავის მხარეს და ფოქშანის ჩრდილო-დასავლეთით, მტერმა ჩვენი და რუმინელების ჯარი აღმოსავლეთისაკენ დასწია. კაპატუნუს მიდამოებში, ფოქშანის ჩრდილო-დასავლეთით 6 ვერსზე, კაპატუნუს მიდამოებში რუმინელებმა თავისი საქმე გამოაკეთეს. ფოქშანის სამხრეთ-დასავლეთით 6 ვერსზე, პოცესჩისთან მოპირდაპირემ მჭიდრო რაზმებით შემოუტია ჩვენს და რუმინელების ჯარს, მაგრამ ზარბაზნებით მოვიგერიეთ. ჩვენ შეტევით მივაღწიეთ რასიპიცის ტბის ხაზს, ხონჩულესჩის სამხრეთ-დასავლეთით 5 ვერსზე და რასიპიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით 12 ვერსზე. მდ. ბუზეოს ქვემო მდინარეობაზე, ს. მოიკონისჩის და ლლონესკუს მხრიდან მტრის მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ბრძოლის ხაზზე ჩვეულებრივი სროლაა. ნამქერებია და რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ სთოვს.

### 27 ქრისტეშობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ტირულის ტბის ჩრდილო-დასავლეთის კიდეზე მტრის სოფელი დავიპყარით და ცხარე ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ბაბიტის ტბის დასავლეთ კიდეებზე ს. კალნცის ჩრდილო-დასავლეთით მტრის თხრილი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ტყვიისმფრქვეველები, სანგრის ზარბაზნები და მძიმე ბატარეა. მტრის გაცხარებული იერიშები მოვიგერიეთ. ბაბიტის ტბის სამხრეთით 23 ქრისტეშობისთვიდან დაწყებულ ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ 15 ზარბაზანი და 800 ტყვე. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კოველს, სოფ. გოლოეს, კოველის სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსზე, ზაბოტცეს სადგურს, ბროდის დასავლეთით, და დაბა იასომოვს, ბროდის სამხრეთ-დასავლეთით, სბოროვის ჩრდილოეთით. პერეპელნიკის აღმოსავლეთით მყოფ ჩვენს ჯარს მოპირდაპირემ ძლიერი ზარბაზნების დაშენის შემდეგ ორჯელ შემოუტია, მაგრამ ორივეჯერ სროლით შევაჩერეთ. ნოვოსილკის მიდამოებში დაბა კრევოს სამხრეთით, მოპირდაპირემ მოშხამულ გაზებით გატენილი ყუმბარები სამჯერ დაგვიშინა, თან ზარბაზნებით და ნაღმისმტყორცნელებით გვებრძოდა. მაგრამ მოვიგერიეთ.

**რუმინეთის ასპარეზი.** ზარბაზნების მედგარი სროლის შემდეგ მოპირდაპირე დილით იერიშით წამოვიდა პეცესჩიზე, ფოქშანის ჩრდილო-დასავლეთით, და რუმინელებს უკან დაახევინა. მარქაფა ჯარი მოვაშველეთ და მტრის წინსვლა შევაჩერეთ.

პენტეჩესჩის მიდამოებში მოპირდაპირე მჭიდროდ დარაზმული იერიშით წამოვიდა, მაგრამ ძლიერი სროლით შევხვდით და უკანვე გავაბრუნეთ. მტერმა ბევრი დახოცილები და დაჭრილები ადგილობრივ დასტოვა.

მდ. სერეტზე, მდ. ბუზეოს შესართავიდან 8 ვერსზე, ოლინესკის ჩრდილოეთით და მიხაილთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ურმიის მიდამოების მთებში ნამქერებია. სპარსეთში 22 ქრისტეშობისთვეს, პეკილაბადიდან მოპირდაპირე გავდევნეთ. იმავ დროს ოსმალებს მაშველი ჯარი მოუვიდათ ქამადანის მიდამოებიდან, შემოგვიტიეს გაცილებით მრავალრიცხოვან ჯარით და ჩვენს ჯარს დოვლეთ-აბადის ჩრდილო-აღმოსავლეთით 50 ვერსზე დაახევინა, ჯერ დოვლეთ-აბადში და მერე დიზ-აბადში.

### 28 ქრისტეშობისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბაბიტის ტბის სამხრეთით, რიგის დასავლეთით, გერმანელებმა, ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, შემოგვიტიეს სოფ. კალნცის მახლობლად, მაგრამ სროლით და სამაგიერო იერიშით უკუვაგდეთ. ჩვენმა ჯარმა ზარბაზნის დაშენის შემდეგ, დილის 11 საათზე შეუტია მდ. დვინზე მდებარე კუნძულზე დაბანაკებულ გერმანელებს, გლაუდანის აღმოსავლეთით და დვინსკის ჩრდილოეთით. ჩვენი იერიში ისეთი სწრაფი იყო, რომ გერმანელები გაიქცნენ, კუნძული ჩვენმა ჯარმა დაიჭირა; კუნძულზე ხელთ ვიგდეთ 7 ტყვიისმფრქვეველი, 4 ყუმბარისმტყორცნელი და 17 ტყვე. შელვოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირემ შემოგვიტია, მაგრამ სანგრებშივე მივაბრუნეთ. 26 ქრისტეშობისთვეს საღამო ხანზე მტრის მფრინავებმა ლუცკს ყუმბარები დაუშინეს.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. ოიტუზის სამხრეთით მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ჩვენს სანგრებზე, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. მონესტირკას დასავლეთით 6 ვერსზე, მდ. კასინზე, კაშინლუს მიდამოში მტერმა შემოუტია რუმინელების ჯარს და უკან დაახევინა, რუმინელებმა მტრის იერიშები მოიგერიეს მდ. სუშიცაზე რეკოსის მიდამოებში.

ჩვენი ჯარი, მტრის შემოუტევლად, გადავიდა ახალ ხაზზე პუტნა-სერეტის მხარეს.

**პარიზი.** საფრანგეთმა, ინგლისმა, რუსეთმა და იტალიამ საბერძნეთის მთავრობას 48 საათის ვადა მისცეს 18 ქრისტეშობისთვეს წარდგენილ მოთხოვნილებაზე პასუხის გასაცემად.

**მადრიდი.** მინისტრ პრეზიდენტმა რომანონესმა მეფეს თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდი გადასცა. მეფე პარტიათა ბელადებს ეთათბირა. ამბობენ, სამინისტროს კრიზისს დღის საღამოს მოაგვარებენო.

**ლონდონი.** 27 ქრისტეშობისთვე. რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონიდან ატყობინებენ. სახელმწიფო დეპარტამენტმა შეერთებული შტატების ბერლინელ ელჩ-ჟერარდს განმარტება მოსთხოვა იმ სიტყვების გამო, რომელიც მან ერთს ბანკეტზე წარმოსთქვა ბერლინში. ჟერარდმა სთქვა, რომ შეერთებული შტატებისა და გერმანეთის ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ისეთი მეგობრული, როგორიც ახლა არის.

**სტოკჰოლმი.** 25 ქრისტეშობისთვე. ვენიდან იტყობინებიან, რომ ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა 23 ქრისტეშობისთვეს ბრძანება გამოსცა ჯარის და ფლოტისადმი. ამ ბრძანებაში ნათქვამია: მტერმა უარჰყო ჩვენი საზავო წინადადება პირობების გაუცნობლად. ამიტომ ხელახლა მოგმართავთ მოწოდებით. ჯარისკაცნო! ოცდა-ათი თვის განმავლობაში ჩვენი მახვილი ნათელსა და გარკვეულს ენას ლაპარაკობდა. უკანასკნელი სიტყვა თქვენ სიმამაცესა და ვაჟკაცობას ეკუთვნის. შეწირული მსხვერპლისთვის პასუხისმგებლობა მოწინააღმდეგებს ედება. ოთხი მტრის სახელმწიფო განადგურებულია ჩვენ მიერ, ძლიერი ციხე-სიმაგრეები აღებულია, ფართო ტერიტორიები დაჭერილია. ამის და მიუხედავად მოწინააღმდეგე სახელმწიფოების მთავრობები აგონებენ ქვეშევრდომებს, რომ კიდევ შეიძლება მათი ბედის გაუმჯობესება. თქვენზეა დამოკიდებული მათთან ანგარიშის გასწორება. გასწით წინ!

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ზავის გარშემო.

ლონდონიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა პასუხს უილსონს ამ დღეებში ჩააბარებენ. თუმცა პასუხის შინაარსი არ გამოუმჟღავნებიათ, მაგრამ ერთი კი ცხადია: ეს პასუხი გერმანეთისათვის გაცემულ პასუხისაგან განსხვავდება. გერმანეთს მოკავშირეებმა პასუხი გასცეს იმაზე, თუ რა პირობებით არ შეუძლიანთ ზავზე მოლაპარაკების დაწყება; უილსონს კი ატყობინებენ იმ პირობებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლო იყო ზავზე მოლაპარაკების დაწყება.

### გერმანეთი

„ტაიმს“-ის თანამშრომელი კურტენი, რომელსაც ათი თვე გერმანეთში გაუტარებია, სწერს: გერმანელები, თურმე, არ ამჟღავნებდნენ გერმანეთის მცხოვრებთა ნამდვილს რაოდენობას. ოფიციალ ცნობებით გერმანეთში 70 მილიონი მცხოვრებია ნაჩვენები, ნამდვილად კი ას მილიონ სულზე მეტი ყოფილაო. ამ ცნობებს კერძოდ ავრცელებენო. კურტენის აზრით, ომის დაწყებისას გერმანეთში 68 მილიონი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. აქედან 33,500,000 მამაკაცი, ამათში 18—45 წლისანი 14 მილიონი ყოფილა. მშვიდობიანობის დროს 18—45 წლის 600 ათას მუშა ხელს უმუშავნია მადაროებში, 800 ათას ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებში, 650 ათასი გზებზე მომუშავე ყოფილა და სამი მილიონი მიწის დამმუშავებელი: სხვა დარგის სამუშაოზე, მათ შორის საფართლო მრეწველობაში დაბანდებული ყოფილა ერთ მილიონამდე მუშა ხელი.

დღეს მიწის დამმუშავებელთა რიცხვი (18—45 წლ.) 1 მილიონის მაგიერ 100 ათასს უდრის. მადაროებში და ლითონის ქარხნებში მუშა-ხელის 60—70 პროც. დაუტოვებიათ. ჰინდენბურგის [...] ეხლა მხოლოდ 25 [...] [წა]ყვანიათ და მხოლოდ 300 ათასი მუშახელი დაუტოვებიათ. ფართლეულობის სამრეწველოებში და სანოვაგის დამმზადებელთა რიცხვიდან ცხრა მეათედი ჯარში გაუყვანიათ. ასე რომ ყველა ქარხანა-სამრეწველოებში წინანდელ 6,050,000 მუშახელის ნაცვლად 1,750,000-ღა დარჩენილა.

ინჟინრები, ქიმიკოსები, მებადურნი და ჯარში გამოუსადეგარი ხალხი რომ 2 მილიონი ვივარაუდოთ, გერმანეთს ეხლა ჰყავს 11 მილიონი ჯარში გასაყვანი ხალხი.

კურტენის აზრით გერმანეთში ჯარში გაწვეულთა რაოდენობა უდრის $^1/_7$, $^1/_6$ და $^1/_5$ მცხოვრებთა საერთო რიცხვისა.

გერმანეთში ყოფილა $1^1/_3$ მილ. ტყვე. ამათ გარდა 2 მილიონამდე რუსი მუშა ხელი მოჰყოლია გერმანეთში ომიანობის დროს. ამათ გარდა გერმანეთში პოლონეთიდანაც მიდის მუშა ხალხი.

ოფიციალი ცნობებით, გერმანეთს ომის დაწყებიდან 1 ქრისტეშობისთვემდე დაჰკლებიათ 3,921,860 მეომარი. ამათგან 889,957 მოკლულია, ან ჭრილობისაგან გარდაცვლილი.

კურტენის ცნობებით კი საერთო დანაკლისი გერმანეთისა 4 მილიონ ნახევრამდე აღწევს.

ჰინდენბურგმა ისე დააყენა საქმე, რომ 500 ათასი მეომარი მუდამ მარქაფად ჰყავს და საითაც საჭიროა იქით გააქანებს საშველად. რუმინეთშიაც ასეთი მარქაფა ჯარი გაგზავნა.

ავტორის სიტყვით ეხლა 6 მილ. ჯარში გასაწვევი ხალხი კიდევ ჰყავს.

### ედისონი.

პარიზიდან იტყობინებიან: ცნობილი ამერიკელი ტომას ედისონი სწერს: „საფრანგეთი იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და წინაპართაგან მიღებულ ძვირფას თავისუფლების შესანარჩუნებლად. ყოველი ამერიკელი მოვალეა აღიაროს, რომ საფრანგეთი და ინგლისი მსოფლიოს თავისუფლებას ეარჩლებიანო. ამერიკა უნდა შეუთანხმდეს ყველა ლიბერალ სახელმწიფოთა მთავრობას, რათა აღაგმონ გერმანელების უზომო ეგოიზმი და მადაო.

### საბერძნეთი

„მატენ“-ის სიტყვით, საბერძნეთის $7^1/_2$ მილიონი მცხოვრებნი ვენიზელოსის მომხრეობას იჩენენ, 2 ნახ. მილიონი ძველ საბერძნეთის მცხოვრებნი კი მეფისაკენ იხრებიან.

## ცვლილება სამინისტროში

(პეტრ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 27 დეკემბ. უმაღლესი უკაზი მიცემული სახელმწიფო საბჭოსადმი.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს, ჩვენი სახლის ჰოფმეისტერს ნერატოვს უმოწყალესად ვუბრძანებთ სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნას, ჰოფმეისტერის ხარისხში დარჩენით.

ჩვენს სტატს სეკრეტარს, სახელმწიფო საბჭოს წევრს, ეგერმეისტერს ტრეპოვს თხოვნის მიხედვით უმოწყალესად ვანთავისუფლებთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობისა და საგზაო საქმეთა მინისტრობისაგან, სენატორისა, ეგერმეისტერისა და სტატს სეკრეტარის ხარისხში დატოვებით. სახელმწიფო საბჭოს წევრს დ. ს. ს. თავად გოლიცინს უმოწყალესად ებრძანება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა, საბჭოს წევრის და სენატორის ხარისხში დატოვებით. ჩვენი სასახლის შტალმეისტერს დ. ს. ს. გრაფ იგნატიევს თხოვნის მიხედვით უმოწყალესად ვანთავისუფლებთ სახალხო განათლების მინისტრობისაგან, შტალმეისტერის ხარისხში დატოვებით. სენატორს ტ. ს. კულჩიცკის უმოწყალესად ებრძანება სახალხო მინისტრად ყოფნა სენატორად დატოვებით.

ნამდვილზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარი ხელით აწერია

ნიკოლოზი.

# ახალი ამბავი

### სასახლეში

✦ შობა დღეს მეფის ნაცვალს მიულოცეს: საქართველოს ეგზარხოსმა მ. ყ. უ. პლატონმა, ეპისკოპოსებმა ანტონიმ (გორისა), დამიანემ (ერევნისა), არქ. ნაზარიმ, მიტროფოსილმა დეკ. მ. ტყემალაძემ, სემინარიის რექტორმა, დეკ. ქ. კეკელიძემ და დეკანოზებმა: თოთიბაძემ, ს. შოშიაშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა და სვიმონიშვილმა, მთავარდიაკვანმა სალარიძემ. პარაკლისის შემდეგ საქართველოს ეგზარხოსმა სიტყვით მიმართა და მის უმაღლესობას.

მიართვა კიევის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად არჩევის დიპლომი.

— **მეფის ნაცვალი** შობა დღეს ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე ბრძანდებოდა საქართველოს ექსარხოსთან სადარბაზოდ.

### ქართული დაწესებულებანი.

✦ **დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია სამშაბათს, 3 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საადგილ მამულო ბანკის დარბაზში (ფრეილინის ქუჩაზე). კრებამ უნდა განიხილოს გამგეობის მოხსენების მეორე ნაწილი შესახებ ქართული თეატრის აღდგენისა.

✦ **საქველმოქ. საზ.** მთავარ გამგეობას კრება ექნება დღეს, 29 ქრისტეშობისთვეს. განსახილველია შემდეგი საყურადღებო საგნები: 1) ბ-ნ ერ. გულისაშვილის მოხსენებანი სამაჰმადიანო საქართველოს სკოლების გაუმჯობესობის შესახებ, 2) საზოგადოების რწმუნებულის ლაზისტანში ბ-ნ კობახიძის მოხსენება შესახებ სიმინდის საწყობის მოწყობის საჭიროებისა ხოფაში და ქართული სკოლის დაარსება სოფ. აბუისლამში და 3) თბილისში არსებულ სახელოსნოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა.

✦ **განყოფილების დაარსება.** ზაქათალაში დაარსდა ქართულ საქველმოქმედო საზ. განყოფილება, გამგეობის წევრებად არჩეული არიან: ილ. მ. ქყონია (თავმჯდომარე), ვლ. კ. აბაშიძე (თავმჯ. ამხ.), ნიკ. დ. ჯანდიერი (მდივანი), ნიკ. მ. თევზაძე, ვლ. გ. ბერძენიშვილი, ქ-ნი ლ. ნ. ბერძენიშვილი და ქ-ნი ნ. ი. სიშჩენკო. კანდიდატებად არჩეული არიან: კნ. ელ. გრ. ჯანდიერი, ქ-ნი სოფ. მ. აბაშიძე და ქ-ნი ნად. პ. თევზაძე.

✦ **სასოფლო სამეურნეო საზოგ.** საბჭოს კრება ექნება დღეს, 29 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 8 საათზე. კრებამ უნდა გამოარკვიოს მომავალი წლის სამოქმედო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა მომავალისავე წლისა.

### ქალაქის დაწესებულებანი

✦ **ქუჩების სახელები.** ქალაქის გამგეობას შეაქვს მოხსენება ქალაქის საბჭოში ლოტკის გორაში ქუჩების სახელების დარქმევის შესახებ.

✦ **ქალაქის საბჭოში** 23 ქრისტეშობისთვეს ა. ი. ხატისოვმა მოხსენება წარუდგინა მოსკოვ-პეტროგრადში მოგზაურობის შესახებ.

✦ **ქალაქთა კავშირის** რწმუნებულმა ა. ი. ხატისოვმა 300 მან. გადასცა დაჭრილთა კომიტეტის გამგეობას გიორგობისთვის და ქრისტეშობისთვის ანგარიშში.

✦ **ქალაქის საბიუჯეტო საფინანსო** კომიტეტის სხდომა 30 ქრისტეშობისთვესაა დანიშნული, 1917 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად.

### სომეხთა შორის.

✦ **ლტოლვილ სომეხთა** სასარგებლოდ ბაქოს ნავთის მრეწველთა ამხანაგობამ „სვეტმა“ გაგზავნა ეჩმიაძინში 30 ბოჭკა ნავთი, ხოლო ერევანსა და დიდ ყარაკლისში ოც-ოცდა ხუთი ბოჭკა, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ ლტოლვილთათვისვე შეიძინა ბაქოში 7 ვაგონი ბრინჯი და თავის რწმუნებულს დაავალა შეიძინოს ჩრდილო კავკასიაში 60 ვაგონი სიმინდის ფქვილი.

✦ **სომეხთა სცენა.** სახალხო სახლთან არსებულმა სომეხთა სექციამ 26 ამა თვეს მოისმინა ბ-ნ გალსტიანის წინადადება, რომ თბილისში დაარსდეს სასცენო კურსები, და მიანდო გამგეობას ყოველმხრივ შეიმუშაოს ეს საკითხი და ახლო მომავალში მოახსენოს სექციას.

✦ **ალმანახის განახლება.** მომავალი წლიდან განახლდება გამოცემა სურათებიან სალიტერატურო ჟურნალის „ჰაბუკი“-სა, რომელიც უსახსრობის გამო მთელი წლის განმავლობაში შეჩერებული იყო.

### სხვა და სხვა ამბები.

✦ **ხელოსანთა** მოურავმა ბ-ნმა ფარსეღოვმა გადასცა ქალაქის მოურავს ბ-ნ ხატისოვს ხელოსანთა შორის მოგროვილი 300 მანეთი ვერის უსასყიდლო სასადილოს სასარგებლოდ.

✦ **ქალაქთა კავშირის** ტრაპიზონის რაიონის მთავარი რწმუნებული ბ-ნი ი. გოგოლაშვილი დეპეშით ატყობინებს ხატისოვს, რომ კავშირის კომიტეტმა ტრაპიზონში სრულის შემადგენლობით დაიწყო მოქმედება 25 ქრისტეშობისთვესო.

✦ **ლექციები.** ქალაქთა კავშირის შეწირულებათა განყოფილებამ სთხოვა პროფესორს მანუილოვს და უკანასკნელმაც თანხმობა განაცხადა დიდმარხვაში თბილისში წაიკითხოს 2 ლექცია: 1) რუსეთის სავაჭრო დამოკიდებულება აღმოსავლეთთან და 2) რუსეთის სავაჭრო დამოკიდებულება ინგლისთან.

✦ **ახალი მანქანა.** სოფ. კონდოლის (კახეთი) მემამულემ თავ. ალ. მ. ლეონიძემ გამოიგონა და ინჟინერმა ლ. ნ. დიასამიძემ ტეხნიკურად შეიმუშავა ახალი მანქანა, რომელიც ვენახებსა და ბაღებში ბალახებსა და მავნე მწერებს სწვავს. მანქანის გატარება ვაზებს შუა და ბაღში შეიძლება ცხენითაც და ხელითაც.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** იანვრის შუა რიცხვებში მიემგზავრება პეტროგრადს საქართველოს საექსარხოსოს საკითხების შესახებ.

✦ **ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების** სკოლების მეთვალყურე, გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე, თავს ანებებს თანამდებობას. იგი აურჩევიათ თელავის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარედ და იქ გადადის.

✦ **ხუთშაბათს,** 29 ქრისტეშობისთვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება კონცერტი-კაბარე. კონცერტზედ შესვლა უფასოა.

✦ **კოოპერატივების გაერთიანება.** ამა თვის 27-ს კრება ჰქონდათ თბილისის ათ მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა-სარევიზიო კომისიების 31 წარმომადგენელს. კრებას, რომელიც მოწვეული იყო ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მიერ, თავმჯდომარეობდა ბ-ნი კ. კანდელაკი. კრების საგანს შეადგენდა გამორკვევა საკითხისა, თუ რა საშუალებით გაერთიანდეს და ერთი დიდი საზოგადოება შესდგეს დღეს წარმოება ქალაქ თბილისის კოოპერატივთა. კრებაზე ორგვარი აზრი გამოითქვა: 1) თბილისის ყველა მომხმარებელი საზოგადოება გაერთიანდეს 2) დაარსდეს თბილისში მომქმედ კოოპერატივთა კავშირი. კრებამ საბოლოოდ არც ერთი წინადადება არ შეიწყნარა და დაადგინა დაარსდეს ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირთან თბილისის კოოპერატივთა წარმომადგენლების ბიურო, რომელიც ერთნაირ ელფერს მისცემს თბილისის ყველა კოოპერატივების მოქმედებას და გამოარკვევს საუკეთესო გეგმას მათ შესაკავშირებლად.

✦ **ნიკო ბარათაშვილის საღამო.** 22 ქრისტეშობისთვეს ხარფუხის კლუბში გაიმართა ნიკო ბარათაშვილის ხსოვნის პატივსაცემად საღამო, რომელმაც დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ფარდა აიხადა თუ არა, სცენაზე გამოჩნდა ყვავილებით მორთული პოეტის ბიუსტი. ორკესტრმა დაუკრა შოპენის სამგლოვიარო მარში, ბ-ნმა ფანცულაიამ წაიკითხა პოეტისადმი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის ლექსები. პოლონელთა კომიტეტის სახელით ეპისკოპოსმა როპპმა დაფნის გვირგვინით შეამკო პოეტის ბიუსტი და სიტყვა წარმოსთქვა. ახალგაზდა პოეტებმა გრიშაშვილმა, ფაშალიშვილმა და ქუჩიშვილმა ლექსები წაიკითხეს. საღამოს დამთავრების შემდეგ კლუბის მამასახლისებმა ვახშმად დაპატიჟეს პოლონელთა დელეგატები, საღამოს წმინდა შემოსავალი გადადებულია პოეტის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

✦ **ცნობილი ფუტურისტი-ლექტორი** ი. სევერიანინი მომავალ იანვარში სალიტერატურო საღამოს გამართავს თბილისში.

✦ **ძიმითის** უფასო სამკითხველოს თავის ხარჯით გაზეთი „საქართველო“ გაუწერა მთელის წლით ბ. ფილიპე დიმიტრის ძე გოგილიამ.

✦ **ს. ხელთუბნის სასწავლებელს** თორტიზის შემნახველ-განსესხებელმა ამხანაგობამ მთელის წლით გაუწერა გაზ. „საქართველო“.

✦ **საგარეჯოს სამკითხველოს** ბ. ივანე დავითის ძე ხოსიტაშვილმა მთელის წლით გაუწერა გაზეთი „საქართველო“.

✦ **კავკ. მუზეის იუბილე** 2 იანვარს კავკ. მუზეუმს არსებობის 50 წელი უსრულდება. ვინაიდან მუზეუმს შენობა ჯერ მზად არა აქვს, დღესასწაული სხვა დროისთვის გადიდო.

✦ **გეოგრაფიულ საზ.** კრება ქრისტეშობისთვის 23-ს მოხდა მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწის გენ. ლ. იანუშკევიჩის თავმჯდომარეობით. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ წევრს ამ საზოგადოებისას სენატორ ჯუნკოვსკის. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება ა. ბ. შელკოვნიკოვისა ურმიაში მოგზაურ ექსპედიციის შესახებ და ამ მოგზაურობის შედეგი. დასასრულ, კრებამ აირჩია ნამდვილი წევრები.

✦ მტერთან ბრძოლაში მამაცობისათვის მე-IV ხარისხის წმ. გიორგის ჯვარი ებოძათ: მე-16 დრაგუნთა ტვერის მის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის პოლკის გენერალ-მაიორებს: თ-დ **ნიკოლოზ ჭავჭავაძეს და ზაქარია ამაშუკელს,** და დერბენტის პოლკის პორუჩიკს **მოსე გობრონიძეს.**

✦ **ფრესკების გამოფენა.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო ქალაქის გამგეობის წევრს გ. დ. ქურულს 3 იანვრიდან ფრესკების გამოფენა მოაწყოს დიდების ტაძარში.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი** გ. დ. ქურული ბაქოს გაემგზავრა.

✦ **ქალაქის საბჭო** ამ მოკლე ხანში განიხილავს მოხსენებას საგანგებო რწმუნებულის დანიშვნის შესახებ პირველ სავაჭრო ყრილობაზე.

✦ **თავდასხმა.** როგორც თბ. გუბერნატორს ატყობინებენ ბორჯომში ჰურჯლის ქარხნის მოლარე მალიშევს თავს დასხმია 7 შეიარაღებული პირი და 16 ათასი მანეთი წაურთმევიათ.

✦ **კოოპერატიული ჟურნალი.** მომხმარებელ ამხანაგობათა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე, ე. ს. დარჩიას რედაქტორობით ქართულ ენაზედ ორ კვირეული ჟურნალის გამოცემის შესახებ. ჟურნალს სახელად „კავშირი“ ერქმევა.

✦ **ქალაქის სამღვდელოებამ** შობა დღეს, ნაღუადღევს 3 საათზე, ეპ. ანტონისა და დამიანეს მეთაურობით საქართველოს ექსარხოსს დღესასწაული მიულოცეს. ამავე დღეს მიულოცეს აგრეთვე ქალაქის ყველა სასულიერო უწყების წარმომადგენლებმა.

✦ **მილოცვის საკითხი.** თბ. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ თანახმად მეფისა და მეფის ნაცვლის ბრძანებისა მათ სახელზე დეპეშით საახალწლო მილოცვანი არ უნდა გაგზავნონ, ვინაიდან ტელეგრაფი ძალიან დატვირთულია საქმიან დეპეშებით.

✦ **ბოსტნეულობის შესყიდვა.** მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწემ, ინფ. გენერალმა იანუშკევიჩმა შესცვალა თვისი განკარგულება 20 მარიამობისთვის თარიღით გამოცემული ბოსტნეულობის გაზიდვის აკრძალვის შესახებ. ძალაში დარჩა მხოლოდ ბრძანების ის ნაწილი, რომელიც ეხება ქარხლისა და ახალ კომბოსტოს შესყიდვას სურამსა და კასპს შუა.

### ზესტაფონი.

შობის წინა დღეებში ექსპროპრიატორებმა გაიტაცეს ადგილობრივი კომერსანტი ბ-ნი მამალაძე და რამდენიმე დღის შემდეგ უვნებლად გაუშვეს. თვით მამალაძე ამბობს, რომ ჩემთვის ფული არ გადაუხდევინებიათო, მაგრამ ეს ტყუილი უნდა იყვეს; ცხადია, მამალაძე შეაშინეს გამტაცებლებმა, ფულის მოცემა არ გაავცხადო, თორემ მოგკლავთო.

### თელავი.

22 ქრისტეშობისთვეს, თანახმად მაზრის უფროსის ცნობა-ბრძანებისა, წინანდლისა და თელავის ბოქაულები საპოლიციო სტრაჟნიკების თანხლებით, წავიდნენ და ალყა შემოარტყეს მაწანწარაზე იოსებ (კურკა) სოღროღევის ვენახში ერთ ქოხს, სადაც ოთხი „ვინტოვკებით“ და რევოლვერებით შეიარაღებული ყაჩაღი იჯდა და ვახშმობდა. ასტყდა ორივე მხრივ საშინელი სროლა, რომელიც ნახევარ საათამდე გაგრძელდა; ამ სროლაში მოკლულ იქმნა ოთხივე ყაჩაღი. როგორც ამბობენ ერთი მოკლულთაგანი ყოფილა ვინმე მხითაროვი, ამ ყაჩაღების ბელადი, რომელსაც ამას წინათ აქაური ჟანდარმიც დაუჭრია.

— ამ დღეებში აქაურ ყასბებში აღმოაჩინეს სოფ. შილდაში მოპარული შვიდი ხარი, რომლებსაც დაკვლას უპირებდნენ პატრონს რომ არ მოესწრო.

— ომში წასულთა ოჯახების დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარეს ამხან. თავადის მეუღლე ან. ჭავჭავაძისამ 3000 მანეთი მიიღო თბილისის კომიტეტისაგან. ეს ფული უკვე გაანაწილეს იმათ შორის, ვისაც დახმარება ეძლევა ამ საზოგადოებისაგან.

— ქრისტეშობისთვეს 17-ს მთელს მაზრაში თოვლი მოვიდა. ოითქმის ნახევარ ალაბზე დასდო.

### მოსკოვი

კონსტანტინე ბალმონტმა 21 ქრისტეშობისთვეს მოსკოვის ზოგიერთ ცნობილ ლიტერატორთა თანადასწრებით კერძო წრეში წაიკითხა ნაწყვეტები შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ სრული თარგმანისა. სხვათა შორის იმ საღამოს ბ. ბალმონტმა მიიწვია „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწე მიხ. ო. ზანდუკელი და ცნობილი მწერალი ბალტრუშაიტისი.

— შ. რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსნის“ სრული თარგმანი რუსულ ენაზე კ. ბალმონტის ამ მოკლე ხანში გამოვა გასაყიდათ.

— 14 იანვარს 1917 წლის „მოსკოვის ქართველთა საზოგადოება“ მართავს „რუსთაველის საღამოს“, რომელზედაც კ. ბალმონტი წაიკითხავს ნაწყვეტებს შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ სრულ თარგმანიდან.

### არტაანი.

არტაანში დანიშნული 18 ამა ქრისტეშობისთვეს ქართული საღამო არტაანის განყოფილების ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო გადაიდო მომავალი იანვრისათვის.

### ხობი (ზუგდ. მაზ.)

ავაზაკთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს სამეგრელოში. აი ერთი მაგალითი მათის თარეშისა. წარსულ თვეში სოფ. ბიის მღვდელს პროხორე ოსავას მიუხტა ხუთი ავაზაკი. იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. მერე წაურთმევიათ თუმანი, თავის ხელითვე დაუხევინებიათ და ცეცხლში ჩაუყრევინებიათ. სახლიდან გამოუთრევიათ და მის მეზობელ ტ. იასავას სახლისაკენ,წაუყვანიათ თანაც გზაში სცემდნენ თურმე. მეზობლისას რომ მიუყვანიათ, ხელში ასანთი მიუციათ და უბრძანებიათ: შენის ხელით წაუკიდე ცეცხლი ტარასის სახლსაო. საცოდავს მღვდელსაც აუსრულებია მათი ბრძანება და მეზობლის სახლისათვის ცეცხლი წაუკიდებია. მერმე მოუყვანიათ თვით გლეხი ტარასი იასავა და ენა მოუჭრიათ. ამის მაყურებელს მღვდელს ავაზაკებისათვის უთხოვნია, ბარემ მეც მომკალითო. მაგრამ ავაზაკებს უთქვამთ, ჯერ ეს გეყოფათო და წასულან. საცოდავი ენამოჭრილი გლეხი და განაწამები მღვდელი ხობში ჩამოიყვანეს. საზოგადოთ მთელს სამეგრელოში საშინლად გამწარებულია ქალი და კაცი, დიდი და პატარა ავაზაკთაგან. მოსვენება არავისა აქვს.

## დღევანდელი ცენზურა

„სათათბიროს“ უკანასკნელ სხდომების ანგარიშის მიჩქმალვამ, რუსეთის პრესა სამართლიანად აახმაურა. საბოლოოდ რასპუტინის ბედის ისტორია ხომ რუსეთის ცნობისმოყვარეობის ძვირფას თვალად გარდაქცეულა, საიდუმლო მისი ყველას სწყურიან, ცენზურა კი მახვილს ატრიალებს და ესაა მიზეზი, რომ ცენტრიდან წამოსული ამბავი პროვინციებში ზღაპრული სახით აღწევს, სწორედ ისე, როგორც ეს იყო წინად, საშუალო საუკუნოებში, როცა ტელეგრაფს ელვის სისწრაფით არ მიმოჰქონდა ქვეყნის ამბები. ამიტომაცაა, რომ რუსული პრესა ხელახლად ახმაურდა, მოითხოვს დაცვას, ცენზურის ერთგვარ ალაგმვას. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო ისევ ბ-ნი მენშიკოვია. „არ ვიცი,—ამბობს ენაწყლიანი პუბლიცისტი,—რა ჰსურთ ამითი, ან როგორ შეიძლება მთელს რუსეთს პირში ბურთი ჩავჩაროთ? რად, რისთვის? რა პრაქტიკულს შედეგებს მივაღწევთ ამითი? ვფიქრობ, რომ ესეც ერთგვარი ფატალური შეცდომაა ჩვენებური რეაქციონერებისა. ჩვენი მოვალეობა, მოვალეობა ყველა პუბლიცისტებისა, ისაა, რომ ყველა პარტიიდან ხმა ავიმაღლოთ და ვამხილოთ, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ფატალურს შეცდომათ! უნდა ყურადიღო ის, რასაც ცხოვრება მოითხოვს და არა ის, რასაც ქაღალდზე დაწერილი, ეგრედ წოდებული, კანონი, გვიკარნახებს. პუბლიცისტთ უნდა მხარში ამოგვიდგნენ ყველა დარგის მწერლები, არა, მარტო მწერლები კი არა, არამედ ყველანი, ვინაიდან გაზეთიც და წიგნიც საზოგადო საქმეა, საზოგადო უფლებაზე დაფუძნებული. საოცარია, რატომ უნდა ეშინოდეთ ფრთა შესხმულ აზრების გამოთქმისა? თუ შიშზე მიდგა საქმე, ყველაზე საშიში **მდუმარე** ფიქრებია, გულში ჩათხრობილი! იგი წააგავს ზარფუშქვეშ მოქცეულს ორთქლს, რომელიც საბოლოოდ აღმოჰხეთქს ხოლმე და ყირამალა ატრიალებს ცეცხლზე შემდგარს ქვაბს“...

ფართო ამონაწერით ვხედავთ, რომ მენშიკოვი არა ჰხუმრობს. საოცარია მხოლოდ ის, რომ ცენზურამ მისი აპოლოგია ცენზურის წინააღმდეგ არ ამოჰშალა. რუსეთის ბიუროკრატია ყველა ერთა ბიუროკრატიებ შორის უბეცესად უნდა ჩაითვალოს, რომ საზოგადო ტონისა და ჰარმონიის დასამყარებლად ამ შავბედით და სამარცხვინო საშუალებას ვერ გასცილდა. მას ჰგონია, ქვეყანა დაიღუპება, თუ თავისუფლად შეეძლება ადამიანს თავის აზრების გამოთქმა. ვერ წარმოუდგენია, რომ გაზეთში თეთრი ადგილები გაცილებით მეტად აღელვებს თანამედროვე მკითხველთ, ვიდრე თვით ის ამოშლილი სიტყვები, რომლითაც ცენზორი ძრწის და თრთოლავს. განა ომის დაწყების პირველ პერიოდში საფრანგეთის მკაცრმა იერიშმა ფრთა არ შეაკვეცა ცენზურას? მაგრამ ამით საფრანგეთი არ დაღუპულა. მამულიშვილთა მკაცრმა კრიტიკამ, კლემანსოთა ბასრმა კალამმა ხშირად მეტი სარგებლობა მოუტანა საფრანგეთის შვილთ, ვიდრე გენერალისიმუს ჟოფრის ზოგიერთმა მაღალ ბრძანებამ! აღარას ვიტყვით ინგლისზე, სადაც აგერ 223 წელია, რაც ცენზურას ბოლო მოეღო სახელოვან მილტონის გამოლაშქრების წყალობით, მაგრამ ვინ იქნება ისეთი თავხედი სთქვას, რომ ინგლისი დაიღუპა, იქ ჰარმონია დაირღვა, ტონთა სრულ სიმფონიას ვერ ვხედავთო! რუსეთის ბიუროკრატია წინსვლის ნაცვლად კიბოსავით უკან გვიწევა, ესა ჰგონია თავისუფლება, ესა ჰგონია პროგრესი, ესა ჰგონია სახელმწიფოს კეთილ ნიადაგზე დაყენება! მას ავიწყდება ჯერ კიდევ 1693 წელში მილტონის მიერ წარმოთქმული ჭეშმარიტება: „ვინც ადამიანსა ჰკლავს, ის მხოლოდ გონიერ არსებას ულებს ბოლოს, ხოლო ვინც წიგნსა სპობს, იგი ჰკლავს თვით გონებას, მაშასადამე, ჰკლავს თვით ღვთის სახებას!“ ეს ბრძნული დარიგება, ორას ოცის წლის წინ თქმული, დაავიწყდა რუსეთის ბიუროკრატიას, იგი დახავსებული მაჯით წერაქვსა სცემს ნათელ აზრთა შესაბოჭველ ჯაჭვების გამსაჭედათ, მაშასადამე, თვით უკვდავების ჩასაქრობად. მართლაც, რაა ადამიანი, თუნდა იგივე ბიუროკრატი, გამოთქმულ აზრებთან შედარებით, რომელნიც გონების სალაროდან გამოფრენის უმალ თავშეუკავებლად მიჰქრიან, სამარადისო სარბიელზე? დიახაც, არაფერი! მაგრამ ვინ და როგორ შეაგნებინებს ამ ჭეშმარიტების სიმარტივეს ბიუროკრატიის დამძიმებულს გონებას? განა არ ვიცით, რომ არა თუ მენშიკოვთა, არამედ მკვდრეთით აღდგომილ მილტონთა მკვრის ბოლით ჩაბინდული თვალებიც რომ თიბათვის მზის ელვარებით შეიმოსოს, მაინც მათს ჩაბნელებულს გონებას ოდნავაც ვერ გააშუქებს: კვლავ ძალაში იქნება უმეცრება და ტლანქი ძალა, ვიდრე სახელმწიფო მექანიზმის აუცილებელ რგოლებად და ჰახრაკად იმათა სცნობენ...

ქართლელი.

## გამოსადეგი სწავლა

ყოველივე, რასაც სიცოცხლე უნდა, არსებობისათვის იბრძვის. ამ ბრძოლიდან გამარჯვებულად გამოსვლისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა ძალა. ამ ძალის შესაქმნელად სხეულს საზრდო სჭირია. თუ სხეული საჭირო საზრდოს ვერ ჰპოვებს, იგი ვერც ბრძოლაში გამკლავებას ახერხებს და იღუპება.

ზოგნი ამბობენ: ხშირად გვესმის ასეთი სიტყვები: „ქართველი ხალხი, როგორც თანამედროვე ცხოვრებისათვის მოუმზადებელი ერი, ადრე თუ გვიან სრულებით გადაგვარდება ან გაითქვიფება სხვა უფრო ძლიერს ერებში და ეს მოვლენა არც თუ ძალიან სავალალო იქნება, რადგან ქართველობა ყოვლად უსარგებლო და ზედმეტი ბარგია ეხლანდელს კაცობრიობისათვისო“. როგორც უძლურს, აკი ველაც გვიბრიყვებს, ყველა აბუჩად გვიგდებს, ყველა თავში გვიფაჩუნებს.

ძველიდან არ არის ქართველი ასეთს მოპყრობას ჩვეული და სცდილობს ძველებურის რიხით თავისი გულისწყრომა გამოუცხადოს გაკადნიერებულს, მაგრამ რა გამოვიდა, მას ანგარიშს ვინ უწევს! ეს კი ასე იმიტომ ჰხდება, რომ ქართველის სამართლიანს გულისწყრომას ვერა ჰფარველობს მაგრძნობელი ძალა,—ჩვენ კარგად ვიცით, როდესაც ლომს კბილები აღარ მოეპოვება, ვირსაც კი შეუძლიან ტყუპი წიხლების მიყრა, თუ მოისურვა. მაგრძნობელს ძალას ანუ ლომის კბილებს დღევანდელს ცხოვრებაში ეკონომიური ძალა წარმოადგენს. ამ ძალის წარმოშობა შეუძლიან კულტურის განვითარებას. ზოგერი იტყვის: ჩვენ საკმაო კულტურა მოგვეპოვება, მაგრამ ეკონომიური ძალა კი შესაფერი არა გვაქვსო. ეს სიტყვები ჩვენ ნუ გაგვიტაცებენ; ნილოსის ნაპირების ძველი მცხოვრებნი ქართველებზედ ნაკლებ კულტუროსანი ხალხი არ იყო, მაგრამ ეხლანდელი ეგვიპტელები ანუ ეთიოპები ამ კულტურისა რა მოზიარენი არიან? ჩვენც ძველებურ კაიკაცობით კვეხნას ნუ დავიწყებთ, ჩვენს დღევანდელს ცხოვრებას მივხედოთ და მას გავუწიოთ ანგარიში. სინამდვილე უტყუარად გვეუბნება, რომ ჩვენი ეხლანდელი კულტურა გარედან არის შემოტანილი და ძალიან ზერელად შეთვისებული. ჩვენ ჯერ კიდევ მხოლოდ მაზინავი გარეგნობა გვიტაცებს და სიღრმეს არ ჩავწვდომილვართ. მაგალითად: ადამიანის დაფასების დროს ჩვენში ჯერ კიდევ ე. წ. საერთო განათლებას აქცევენ უმთავრეს ყურადღებას და არა სპეციალიზაციას. ეს ი[illegible] თითქმის ყოვე[illegible] ვისი საქმის საფ[illegible] სპეციალისტი კი [illegible] საერთო განათლების [illegible] თანა კაცმა სპეციალი[illegible] გაუგოს. სპეციალისტი მ[illegible] მოკლე, შეზღუდულ გონებ[illegible] ნია, რომელსაც საერთო თვ[illegible] სი ვითომ არა აქვს. ჩვენებურ „ც[illegible] ბილს“ კაცს გიმნაზიის მოსწავლე ქ[illegible] ლის თუ კაცის ყოველ ვე საგანზედ გადაჭრით და ბაქი-ბუქით ლაპარაკი უფრო აკმაყოფილებს, ვიდრე თავის დარგში მართლა განსწავლულ ახალგაზრდის ფრთხილი მსჯელობა.

ერთად ერთი საქმე, რომელიც, ასე ვსთქვათ, საფუძვლიანად კეთდება და იზიდავს ჩვენის საზოგადოების ნასწავლ პირებს, არის საარქეოლოგიო კვლევა-ძიება. ეს დიახაც რომ დიდებული და ფრიად საჭირო საქმეა: ჩვენის ეროვნულ კულტურის აღორძინება ხომ ძველის ნიადაგზედ უნდა მოჰდეს. მაგრამ რად არ ეყურებათ სხვებს ამათ შემყურეთ, რომ სხვა, ამაზედ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმე, რჩება გაუკეთებელი. ჩვენ ჯერ ხომ სულ მთლად პალეონტოლოგიურ, ყოფილ ხალხად არა ვართ გადაქცეული. ცოცხლებში ვურევივართ და კუჭის საზრდო გვჭირდება; უმთავრესად ამ მოთხოვნილებას უნდა დაკმაყოფილება, თორემ მართლა „ყოფილთ“ მივეთვლებით.

ჩვენნი მაყურებელნი ჰხედავენ, რომ ჩვენ მეტად მცირე საარსებო ეკონომიური ძალა გვაქვს და ისიც დღითი დღე გვაკლდება; ჰხედავენ ამას და აუცილებელი დასკვნა გამოჰყავთ: ეს ერი ვერ იარსებებს, გადაგვარდება, გაწყდებაო. ჩვენ გული მოგვდის ასეთების მთქმელზე, მზათა ვართ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გავუმართოთ მათ და შური ვიძიოთ; ხოლო ძალიან ცოტას კი ვსცდილობთ ნაკლის შესწორება-შევსებას და მდგომარეობის გაუმჯობესობას ძალ-ღონის მოსაკრებად.

ჩვენში სასარგებლო და გამოსადეგ ადამიანად უმთავრესად ის მიაჩნიათ, ვინც მელექსეობს, ლექსებს ჰკრიტიკობს, სიტყვიერად თუ გაზეთებში საჯაროდ გამოდის.

ამისთანა თვალთაზრი ჩვენ არას გვარგებს. ჩვენ „საქმე“ უნდა გვაინტერესებდეს და უპირველესად ისეთი საქმე, რომელიც გამოსაყენია და აუცილებლივ საჭიროც მთელის ერის დღიურ არსებობისათვის. ასეთი საქმეა დღეს ჩვენთვის მეურნეობა და მრეწველობა.

უბედურება გვემატება თავსა და ჰლამობს ჩვენს მთლად განადგურებას: ომმა ასიათასობით იმსხვერპლა საუკეთესო მამაც ვაჟკაცთა სიცოცხლე და მოუსავლობამ ხომ თითქმის მთლად დაამშია მთელი ქვეყანა. საჭიროა საზრდოსათვისაც ზრუნვა.

ჩვენში ჯერ კიდევ უმრავლესობისათვის ერთად-ერთი მასაზრდოებელი წყარო არის მამული. მაგრამ მამული თავის თავად ბევრს კი არას იძლევა, თუ მას მოვლა-პატრონობა არა აქვს, თუ იგი დამუშავებული არ არის. უამისოთ მამული მეტ ბარგად, ჭირადა ხდება მესაკუთრესათვის: გადასახადები ემატება და ვალში იფლება. ხშირად მემამულეს იმდენი ვალი უგროვდება, რომ კაცს მამული სულ მთლად ვალში მისდის. ზოგი დაზარალებული თითქოს თანაგრძნობის ღირსიც იყოს: არ ლოთობს, ქაღალდის თამაშში არ აგებს ფულს, ავხორცობას არა ჰყვება, პირიქით, თითქმის ღატაკურ ცხოვრებასაც კი მისდევს, მაგრამ ადგილ-მამული მაინც ხელიდან მისდის. მოდის ამისთანა კაცთან ვინმე უცხოელი, ჰხედავს რეგვენსა და ბრიყვს, გადაუგდებს ორიოდ ჭრელს ქაღალდს და მიაქვს ჯერ ხელუხლებელი, ბუნებით უხვი და მდიდარი, დაუფასებელი ცხოვრების წყარო. გამყიდველი ქართველი ცას ეწევა: გამოუცდელი უცხოელი მოვიდა, მოვატყუე და ჭამდენ და ამდენში მივაჩეჩე ის მამული, რომელიც ზარალის მეტს არას იძლეოდაო. ამ ჭკვიანურს მაგალითსა ჰბაძავენ სხვებიც და... მიდის ჩალის ფასად ქართველთა მიწა-წყალი, ჩვენთა წინაპართ ოფლით მორწყული, სისხლით და ძვლებით გაპოხიერებული.

დიახ, ადგილ-მამულს მოვლა უნდა. ბუნება სიამოვნებით გადგვიშლის თავის გულს, თუ ჩვენ მას დავუმეგობრდებით, მის ენის გაგებას ეცდებით, „ბუნების მეტყველებას“ ვისწავლით. ჩვენს დედამიწას, როგორც სამაგალითო მზრუნველს თავის შვილებისას, აურაცხელი სიმდიდრე აქვს შენახული, თავის ახალგაზდობის მრავალ მილიონიან წლებში მონაგარი, და ეხლაც ყოველ-წლივ მრავალ საზრდოს აგროვებს; მაგრამ მუქთად კი არავის არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავა...**

... ჩვენც ვიშ- ... ამაგი დავს- ... მიკერძება და ..., იგი ყველას სა- ...რომის მიხედვით მი- ...ქ...ს.

გაც...ხურება გაგვანთავისუფ- ...ის იმ დამამცირებელ მოხე- ...ურგან, რომელსაც სამარცხვი- ...ლ მისდევს დღეს ჩვენი განათლე- ...ულ საზოგადოების დიდი უმრავლე- ...სობა. ხომ ხედავთ, ვიდევნებთ მიუხე- დავად იმისა, რომ ჩვენი პიროვნებაც, ეროვნებაც და სამშობლოც კი ბატო- ნის სამსხვერპლოს ზვარაკად შევსწი- რეთ. რატომ ვერ მიმხვდარხართ, რომ საჭიროა დავანებოთ თავი ამისთანა უმადურს ცხოვრების წყაროს და მი- ვუბრუნდეთ უფრო მადლიანსა და ცხოველმყოფელს.

ყველაზედ საიმედო, უხვი და ტკბი- ლი წყარო არსებობისა არის მეურ- ნეობა:*) ჩვეულებრივ დალოცვილი ბუნება ისე არ გამუნწდება, რომ ჩვენ- გან მასზედ გაწეული შრომა სულ უკანასკნელი ერთი ორად მაინც არ აგვინაზღაუროს; ის გვაძლევს ჩვენ ყველაფერს, ხორციელსა და სულიერ საზრდოსაც, გვანიჭებს თავისუფლებას და გვაჩვევს დამოუკიდებელს ცხოვ- რებას, გვამაღლებს გონებით და გვჭურვავს ხოლმე იარაღით, რომე- ლიც ადამიანსა სჭირია თავის არსე- ბობის უზრუნველსაყოფლად. მხოლოდ, როგორცა ვსთქვით, შრომაა საჭირო, შრომა მიზან-შეწონილი, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი მოჰყვეს გა- წეულს ჯაფას. ამისათვის კი შესაფე- რი სწავლაა საჭირო, რომელიც მი- იღება მხოლოდ და მხოლოდ სამეურ- ნეო, სამადნეო და სამრეწველო სა- სწავლებლებში.

დიდი ზნეობრივ - ამღზრდელობითი მნიშვნელობაცა აქვს „გამოსაყენებელს“ სწავლას.

ავიღოთ, მაგალითად, ეხლანდელი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლე- ბის მოსწავლე ყმაწვილთაობა. სოფ- ლელთა და ქალაქის დაბალ ხალხისა- თვის ეს ახალგაზრდობა ერთგვარს წა- საბაძავ მაგალითს წარმოადგენს. მერე რის მაგალითის მიმცემნი არიან ეს ყმაწვილნი? რას აკეთებენ წასაბაძავს, მაგალითად, ზაფხულობით, სოფელში ჩასვლისას? სრულიად არაფერს.

ჩვენი ეხლანდელი სასწავლებლები არც მოთხოვნილობას შეეფერება და არც ჯეროვან ნიადაგზედ არის დაყე- ნებული: იქ შეგირდს იმას კი არ ას- წავლიან, რაც მას ცხოვრებაში გამო- ადგება, საარსებო ძალას მისცემს და დამოუკიდებელს გაჰხდის, არამედ იმას, რაც მას ცხოვრებიდან გაჰრიყავს, თა- ვის ხალხს და მიწა-წყალს დააშორებს და ყურ-მოჭრილ მონა-მოხელედ გა- დააქცევს.

**მ. შალამბერიძე.**

(დასასრული იქნება)

## ჩვენი მოხელენი

რაც თავი შემისწავლია და გონება- ში ჩავარდნილვარ, ჩვენი სასწავლებ- ლების შესახებ ერთი კეთილი სიტყვა არ გამიგია. ყველა: ინსპექტორი, დი- რექტორი თუ მეთვალყურე თავისებურ პროგრამასა სთხზავს და ამ პროგრა- მას აჩეჩებს მასწავლებლებს: გინდა თუ არა, ჩემი პროგრამით ასწავლეო.

მახსოვს, პატარა ვიყავი. სოფლის სკოლაში ვსწავლობდი. მასწავლებე- ლი პატიოსანი კაცი გვყავდა, ქარ- თული ენა კარგადა ჰქონდა შესწავ- ლილი და კარგადაც გვასწავლიდა. ერთ დღეს მობრძანდა მეთვალყურე (სამრევლო სკოლებში მღდლები არიან მეთვალყურედ) და გამოგვიცადა: სა- სწავლებლების უფროსი ვოსტორგოვი და ელიევი უნდა მობრძანდნენ და ქართული წიგნები აღარ მოიტანოთ, აღარ გვექნება გაკვეთილებიო. ამასთან გამოაცხადა, ვინც კიდევ ქართულად დაილაპარაკებს, სასტიკად დაისჯებაო და გადმოგვცა თუნუქის ნაჭერი, მრგვლად შემოჭრილი. ეს თუნუქის ნაჭერი მორიგეს ებარა. ვინც ქართუ- ლად დაილაპარაკებდა, მას გადასცემდა. მეორე სცდილობდა მესამესთვის გადა- ეცა, მესამე-მეოთხესთვის და ამ რიგად ვისაც ბოლოს ხელში დარჩებოდა, სას- ტიკად ისჯებოდა. ასე გვაძულებდნენ სამშობლო ენას.

ჩვენ ძლიერ გვეშინოდა საშინელ ორ ადამიანისა, გულის კანკალით ვე- ლოდით მათ მოსვლას, მაგრამ, მაგ- რამ ჩვენდა საბედნიეროდ, აღარ მო- ვიდნენ. მეთვალყურეც მალე გადიყვა- ნეს და სწავლა ისევ ნორმალურ კა- ლაპოტში ჩადგა.

გავიდა ხანი. მე ეს ორი ადამიანი საშინლად ჩამებეჭდა გულში. ამ სამი წლის წინედ მოსკოვში ვნახე. ნეტარ ვასილის ტაძარში სწირავდა დეკანო- ზი ვოსტორგოვი და რა შევიტყე მისი ვინაობა, თუმცა ჩვენ აღარაფერი გვქონდა საერთო, შიშის ზარმა ამი- ტანა, რაღაც ჟრუანტელმა დამიარა ტანში და წამსვე გარედ გამოველ სა- ყდრიდან. სოფლის სკოლიდან სასუ- ლიერო სასწავლებელში გადაველ. აქაც ისევ ქართული ენის დევნა და მისი წამება ვნახე. გადაველ სემინა- რიაში და აქაც ისევ ის, რაც სხვაგან. თუ გნებავსთ, აქ უფრო მეტი ვნახე: ნიჭის ძალათი დახშობა და მისი დევ- ნა. აი რა ვნახე სემინარიაში. გაიგო ჩვენს რექტორს (პიმენი იყო მაშინ რექტორად), რომ ერთს მოწაფეს გა- ზეთში ლექსი მოუთავსებიაო. ღმერ- თო ჩემო, რა საშინელი დღე დაგვი- ყენა. სასტიკად დაგვემუქრა და გვით- ხრა, თუ დღისით მოგადგათ მუზა, გაკვეთილები იკითხეთ და დაივიწყეთ ყოველი, თუ ღამე მოგადგათ—ლო- გინში ჩაწექით და საბანი თავზედ წაიხურეთ, რომ თავიდან საძაგელი (!) აზრები გამოგიფრინდესთო. იკითხეთ ხუცური, რომ მოემზადოთ სამღვდე- ლოთო. მაგრამ მასწავლებლის ენერ- გიამ (მე ვლაპარაკობ ბ. ილია ფერა- ძეზედ), მისმა ქართულ ენისადმი სი- ყვარულმა ყოველისფერი დაბრკოლება გადალახა და ჩვენ შევისწავლეთ მშვე- ნივრარ ქართული ენა.

აგერ ცხოვრებაში გამოველ. ბევრი რამ გამოიცვალა მას შემდეგ, რაც მე პირველად ვიგრძენ შიში ქართული ენის სწავლისათვის. მაგრამ ქართული ენის დევნა მაინც არ დამთავრდა. უწინ თუ უფროსები სდევნიდნენ, ეხლა უმცროსები სდევნიან.

შარშან ინსპექტორ მიხაილოვთან მომიხდა თიანეთის მაზრისკენ მგზავ- რობა. რევიზიები ჯერ ბოჭორმის, ნაქალაქარის და საყარაულოს სკოლე- ბში მოახდინა. შემდეგ წავედით ახალ სოფელში, სადაც ქალი მასწავლებ- ლობდა. პირველ განყოფილებაში და- ეწყო რუსულად სწავლება. ინსპექ- ტორს ძლიერ მოეწონა და მასწავლე- ბელი შეაქო. მე ძლიერ მეწყინა ასე- თი ქცევა და ვუთხარი: ეგ ხომ პრო- გრამის წინააღმდეგიც არის და პედა- გოგიკისაც მეთქი. და მივუთითე 1881 წლის პროგრამაზედ. მასწავლებელმა კი მიპასუხა,—რომ ასე არ მოვიქცე, ადგილიდან დამითხოვენო! ინსპექ- ტორს ვკითხე, რამდენად მართალია ქალი-მასწავლებლის ნათქვამი მეთქი? ინსპექტორმა მითხრა: რა თქმა უნდა, არ დავუშლი, როგორც პროგრამა თხოულობს, ისე ასწავლოს, მაგრამ სჯობია კი პირველადვე რუსულად დააწყებინოსო. აქედან რევიზიაზედ წავიდა არტაანში. აქ მასწავლებლო- ბდა ვაჟი. მას სულ გადაექარბებინა, სულ ყველაფერი რუსულად შაესწავ- ლებინა.—„კოზლიკოს“ სიმღერები და მრავალი ამისთანა. ამისთანა საქციე- ლისთვის სასყიდელიც მალე მიიღო. გადაყვანილ იქმნა ორ კლასიან სასწა- ვლებელში გამგედ, ერთდროული და- ხმარებაც მაშინვე მიიღო. ჩემს შეკით- ხვაზედ—რად მოიქეც ასე-მეთქი? მი- თხრა, მე არ ვიცოდი, თუ შეიძლე- ბოდა ქართულად სწავლებაო და ახ- ლა კი ვიქონიებ მხედველობაშიო. მე მართლა მეგონა, არ იცოდა მეთქი, მაგრამ გაზაფხულზედ, როდესაც ხელ- მეორედ გაიარა ინსპექტორმა მის სა- სწავლებელში, ამისთანა თხოვნით მი- ემართნა მასწავლებელს: ნება მომეცი პირველადვე რუსულად დავიწყო სწა- ვლება, ჩემს წინამოადგილეს ქართუ- ლად უსწავლებიაო. ინსპექტორმა უთ- ხრა, პროგრამა ასე არ თხოულობსო. მან კი მიუგო: ნება მომეცი პროგრა- მას გადაუხვიოვო.

**Nemo.**

## დაბა-სოფლები

**ხოთ. ძველი გავაზი** (თელავის მაზრა). დღევანდელი მდგომარეობით ისარგებლეს ჩვენი მეზობლების (ლე- კების) ბნელმა ძალებმა და ისე დღე არ გავა, რომ ან კაცი არ მოკლან და გაცარცვონ, ან სახლს არ დაეცნენ ყა- ჩაღურათ და არ გაცარცვონ, ან სა- ქონელი არ მოიტაცონ. მინდორში გუ- თანზედ გასულს საქონელს იტაცებენ მარტო ტყავის გულისთვის. მხოლოთ ლეშით ტყის ნადირს უმასპინძლდებიან. როგორ ლონდება მეგუთნე, რომელიც ამ ვაჟბატონების მეოხებით ხშირათ სულმთლათ ანებებს ხვნას თავს, ეს ადვილი წარმოსადგენია. რა უბედუ- რობა მოსდევს უხვნელობას არც ეს არის ძნელი გამოსაცნობი. რათ ხდება ეს? რა მიზეზია, რომ იმ დროს რო- დესაც ჩვენმა მეზობელმა თათრებმა მიიღეს ქართველებისაგან გაწვდილი მეგობრული ხელი და ეს ორი ერი სცდილობს რითაც კი შეიძლება გაუა- დვილონ ერთმანეთს ეს ჯოჯოხეთური ცხოვრება, ლეკები, ეს ნაწილი ჩვენი მეგობარი ერისა, ისე ეკიდება ქარ- თველების ინტერესებს, როგორც მტე- რი? ჩემის აზრით აქ დიდი ბრალი ედება ჩვენი მეგობრების მოწინავე ელემენტებს, რომლებსაც, თუ არ ვსცდები, ჯერ ერთი ნაბიჯიც კი არ გადუდგამთ ამ მხრივ და არ შეცდი- ლან თავიანთ გულის ნადები გაუზია- რონ ლეკებს და ჩააგონონ, რომ ჩვენ მეზობლები, ძმები ვართ და ერთის მხრივ ეკონომიურათ დაცემას აუცი- ლებლათ მოსდევს მეორის მიწასთან გასწორებაც. მაგალითათ: ლეკების ერთათერთი მარჩენელი კახეთია და თუ კახეთი დაიმშა, ლეკები შიმშილით ამოსწყდებიან. ვ მეორევ, მუსულმანთა პრესამ უნდა გააცნოს ლეკებს ჩვენი მათთან დამოკიდებულება და არამც თუ ეხლა, მაშინაც თუ ქართველობას მოვლის უფრო გასაჭირი ხანა... ლეკებმა უნდა იცოდნენ, ვინ ვართ ჩვენ და ხელი შეუშალონ გაუნათლებელს ელემენ- ტებს არ ისარგებლონ დროთი და არააწიოკონ კახელების ობლათ დარჩე- ნილი ოჯახი და სარჩო-საბადებელი. საჭიროა ქართულმა პრესამაც ამას ყურადღება მიაქციოს. სამწუხაროთ ამ აღნიშნულ მოვლენას ცუდი ბოლო უჩანს და დახანება აღარ სჭირდება.

**ივ. ყიფიანი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით გავაც- ხადო შემდეგი: **ჯარისკაცი პავლე ალექსის ძე გუჯაბიძე** (ბიძისშვილი) მსახურობდა **262** გროზნის ქვეითა პოლკში, 8 როტაში. წელიწად ნახე- ვარზე მეტია, მის შესახებ არაფერი ვიცით. უმორჩილესად ვთხოვ ყველას, თუ ვინმემ რაიმე იცის მასზე—მაცნო- ბოს ამ მისამართით:

**Петроградъ, Типографія газеты „День“. Пр. Гуджабидзе.**

აგრეთვე მადლობას ვუცხადებ იმ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებმაც თანაგრძნობის წერილი გამომიგზავნეს მომქმედ არმიიდან ავსტრიის ფრონ- ტზე ჩემი ძმის მილორსის (ნიკოს) მოკვლის გამო.

პატივისცემით **პრ. გუჯაბიძე.**

## თეატრი

სახალხო სახლთან არსებულ ქარ- თულ სახალხო წარმოდგენების მარ- თველ წრის სცენის მოყვარეთა ფონ- დის გასაძლიერებლად, 27 ქრისტეშო- ბისთვეს გაიმართა საღამო-მეჯლისი. პირველათ წარმოადგინეს ი. გედევა- ნიშვილის „მსხვერპლი“, მხოლოდ პი- რველი მოქმედება. პიესას ემჩნეოდა რეჟისორის ენერგიული მუშაობა, მა- სიურმა სცენამ ძალიან მწყობრად ჩა- იარა. ბ-ნი ნ. გოცირიძე ასრულებდა საქოს როლს. უნდა ვთქვათ ამ ნიჭი- ერს სცენის მოყვარეზე, რომ იგი ყო- ველთვის პირ-ნათლად ასრულებს ნა- კისრს როლებს, ამ საღამოს ხომ მო- ლოდინს გადააჭარბა. ჟანოს როლი ეკისრა თავდგირიძეს, მაგრამ ვერ და- სძლია. ამ ახალ სცენის მოყვარეს ვურ- ჩევთ თავი დაანებოს სხვებს და ყუ- რადღება მიაქციოს თავის თავს, ალ- ბად არ იცის პიესა რამდენ შთაბეჭ- დილებას ჰკარგავს მაშინ, როდესაც ის სხვებს ასწავლის „იქით მიდექით, აქეთ წამოდითო“, ვურჩევთ მეტს მოწიწებას, დანარჩენნი ხელს უწყობ- დნენ პიესის საერთო მსვლელობას.

მეორედ დასდგეს 1 მოქმედებიანი ვოდევილი ვ. გუნიასი „არივ დარია“. ამ ვოდევილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა, განსაკუთრებით კარგი იყო ვ. ნინიძე—ივანიკა მსახური.

მესამეთ გაიმართა საკონცერტო გა- ნყოფილება. მონაწილეობას იღებდნენ ნიჭიერი მუსიკოსი ილ. ქურხული, მ. ჭიაურელი, კაციაშვილი, ნ. გოცირიძე, ივ. ჩოხელი. ილ. ქურხულმა დაუკრა სკრიპკაზე და საზოგადოება მეტად აღტაცებაში მოიყვანა და ტაშის ცე- მით დააჯილდოვეს. მ. ჭიაურელმა ივ. სარაჯიშვილისებურად გრიმში იმღე- რა რამოდენიმე რომანსი, რითაც საზოგადოება კმაყოფილი დარ- ჩა. იმღერა აგრეთვე ი. ჩოხელმა, თუ- მცა ბ-ნი ჩოხელი ამ საღამოს პირვე- ლად გამოვიდა სცენაზე, მაგრამ ეტ- ყობა ხმის მომავალი. კაციაშვილმა წაიკითხა ლექსები. დასასრულს, ნ. გო- ცირიძემ მომხიბვლელად წაიკითხა სო- მხური სცენები.

**ხოხო.**

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, 8 | „ 58 | „ დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 | „ 24 | „ საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდა- მოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისა- გან მუდამ უნდაახსოვდეს, რომ მი- სი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუ- ხუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვა- ნი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველე- ბულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ- გარეთელ ექიმებისა და პროფესორე- ბის** მიერ და აღიარებულია საუკეთე- სო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელ- საც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედე- გო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლო- ფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენი- საგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნე- ბა 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბი- ლისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეტავოს ქუჩის.

**Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.**

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 სა- ათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.

—300—

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

## კურსები

# ტ. მ. ფილოიანისა

**ორივე სქესისთვის**

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

**თხოვნები მიიღება:** 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—340—5)

# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

# „ცხოვრება“-ზე

**წელიწადი მესამე**

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტო- რობით. ჟურნალში თანამშრომლობენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები. წლიურად ჟურნალი ღირება 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწი- ლათაც შეუძლიათ ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: **Кутаисъ Роману Спиридоновичу Панцхава.**

# 1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადული“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწ- ვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

## ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა **ნახატი** ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგ- ზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 **წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—5)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების **ჯანმთე- ლობის** ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე**

# ლაღიძის

**და ამხ-ს ქარ- ხნის საუკე- თესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გა- უფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზო- გადოება, თავიანთი **დაბალი** ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმ- სგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მი- ერ პეტროგრადში ტ თვით პრობკებსაც აწერია

## „ლაღიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუ- კეთესო ხილის წვნით** და მასთანვე

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

# ვინც იტანჯება ათაშანგით

(სიფილისით)

## ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება

# პრეპარატი

**„IODOSTARIN“** (იოდოსტარინ)

მთელი კურსის ფასი 30 მ., 1/2 კურსის ფასი 16 მ., 1/4 კურსის ფასი **8 მ. 50.**

ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტან,** თბილი- სი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. **Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.**

# სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა

(შესაშხაპუნებელი)

## და სუსპენზორიები, მივიღეთ

I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა **ბითუმად და წვრილად.** ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. **სუსპენზორიე- ბის ფასი:** ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.

**მიჰმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს,** თბილისი, თხინ- ვალის ქუჩა, № 12. მისამართი: **Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.**

ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანე- თის ბეს მიღების შემდეგ.

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სა- მრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მე- შოჩნი“ ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


*) მრეწველობა და მემადნეობა.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4